

ბობდნენ. მათზე არავითარი ახსნა-განმარტება არ მოქმედებდა. კუზიანმა ანიზაფინემ, ჯარისკაცებისთვის ანანასიან წყალს რომ ჰყიდდა, როგორც კი წამლის შუშა დაინახა, ტუჩები მაგრად მოკუმდა და თავი გაიქნია უარის ნიშნად. ექიმი ცდილობდა, დაეთანხმებინა, ამიტომ ნახევარი წამალი ჯერ თვითონ მოსვა და ამის შემდეგ თითქმის ყველა იქ მყოფი შეეხო ენის წვერით წამლის შუშის თავს. მაგრამ ანიზაფინე უარის ნიშნად კვლავ იქნევდა თავს. – ხომ ხედავ, – წამოიძახა ექიმმა, – ჩვენ ხომ უკვე დავლიეთ წამალი! – ჰა, ჰა, ჰა!- გაეცინა ანიზაფინეს, – განა არ ვიცი, რომ როდესაც წახვალთ, შხამსაწინააღმდეგო წამალს მიიღებთ“.

ნოველაში მოსახლეობის დაბალი ფენების რეაქცია ქოლერის მიმართ და ეპიდემიის თანმხლები უარყოფითი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მხარეები ცალკეული ნიშნებით გარკვეულწილად ჰგავს კოვიდ 19-ით შექმნილ თანამედროვე ვითარებას.

გაბრიელე დ'ანუნციოს „ბრძოლა ხიდთან“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეპიდემიის გავრცელებისა და შესაბამისად, მასობრივი ფსიქოლოგიური კრიზისის დროს ხელისუფლების ინსტიტუტების მოქმედებასა და მათ მიმართ ხალხის ნდობის ხარისხს. ამასთანავე უდავოა ისიც, რაოდენ დიდ პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ ეპიდემიების შესახებ ცრუმორწმუნეობაზე დამყარებულ შეხედულებათა დაძლევისა და ხალხისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების საკითხში მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ.

**Nestan Kutivadze**

*Georgia Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## **Literary Aspects of the Epidemic**

### **Summary**

History can provide us with the specific facts about epidemics. Numerical data and geographical areas have been specified as accurately as possible, while art and fiction have preserved the emotional aspects and

human feelings of these fateful events. Today, this material enables us to see the society of that time from the centuries-old perspective, to conceptualize the artistic markers of literary interpretation, the connotative fields of these markers – their direct and metaphorical meanings. In this regard, Georgian thinking space is no exception. It is natural that Georgian fiction does not ignore this difficult social event and creates many memorable literary characters and stories. The texts created at the turn of the XIX-XX centuries distinguished by the individual style of writing skillfully depict the social picture caused by the epidemic, a changed way of life, a locked-down, isolated village completely gripped by fear of death, and an astonishing spiritual fortitude and inner strength of people in need.

**Keywords:** Vazha-Pshavela, Aragvispireli, Kldiashvili, Literary interpretation.

## ნესტან კუტივაძე

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ეპიდემიის ლიტერატურული ასპექტები

კაცობრიობა თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მრავალ განსაცდელს გამკლავებია, შეუჩერებია განადგურებელი საფრთხეები, გადაუტანია არაერთი მომაკვდინებელი ეპიდემია, რომლებიც პერიოდულად მთელი თავისი სისატიკით თავს ატყდებოდა სამყაროს და ხშირად გაცილებით მეტ ადამიანს იწირავდა, ვიდრე დიდი ომები. ისტორიამ იცის ეპიდემიათა შესახებ კონკრეტული ფაქტები, შეძლებისდაგვარად დაზუსტებული რიცხობრივი მონაცემები და გეოგრაფიული არეალები, მაგრამ ხელოვნებამ, მხატვრულმა ლიტერატურამ შემოინახა ამ საბედისწერო მოვლენების ემოციური მხარეები, ადამიანური განცდები. დღეს ეს მასალა შესაძლებლობას იძლევა საუკუნეთა გადასახედიდან დავინახოთ მაშინდელი საზოგადოება, გავიზოროთ ლიტერატურული ინტერპრეტაციის მხატვრული მარკერები, ამ მარკერების კონოტაციური ველები – პირდაპირი თუ მეტაფორული მნიშვნელობები.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორები (ჰომეროსი, სოფოკლე, ლუკრეციუსი, ვერგილიუსი...) გვიამბობდნენ მომაკვდინებელი შავი ჭირის შესახებ. სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები (ბოკაჩო, შექსპირი, დანიელ დეფო, თომას მანი, ედგარ პო, კამიუ, მარკესი...) განსხვავებული მხატვრული ფუნქციით იყენებენ ეპიდემიას თავიანთ ტექსტებში. ამ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები არამხოლოდ ასახავს, არამედ ცდილობს ფილოსოფიური ახსნა მოუძებნოს შექმნილ რეალობას, დააფიქროს ადამიანი საკუთარი დანიშნულების, ზოგადად, წარმავლისა და მარადიულის შესახებ.

ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართული სააზროვნო სივრცეა. ქართულმა ფოლკლორმა შემოინახა ეპიდემიის დროს სიკვდილის წინაშე მდგომი ადამიანების გამბედაობის არაჩვეულებრივი ნიმუშები, განსაცდელისას ერთმანეთის მიმართ ადამიანთა პასუხისმგებლობის შთამბეჭდავი მაგალითი ასახა ლეგენდამ ხევსურთა აკლდამების შესახებ. ქართული მხატვრული ლიტერატურაც, ბუნებრივია, გვერდს არ უვლის ამ მიმე სოციალურ მოვლენას და არაერთ დასამახსოვრებელ მხატვრულ სახესა თუ ამბავს ქმნის.

XIX საუკუნეში რამდენიმე ეპიდემიური აფეთქებაა ცნობილი. 1890-იანი წლებიდან საქართველოში გამომავალ პერიოდულ პრესაში აქტუალურია ეპიდემიოლოგიური ვითარება. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში ინფექციური დაავადებები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, სპარსეთსა და თურქეთშიც, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ქოლერას, არსებულ სიტუაციას. გაზეთი „ივერია“ 1892 (№124) წელს მკითხველს აწვდის ცნობებს იმის შესახებ, რამდენი ადამიანია „ხოლერიით“ ავად ბაქოში, თბილისსა და სხვა ადგილებში, რამდენი გარდაიცვალა, რამდენს აქვს ავადმყოფობის მხოლოდ ნიშნები და ჯერ დადგენილი არ არის და ა. შ. ამასთან, გაზეთი იუწყება თბილისის „სასანიტარო კომისიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ბაქოდან მომავალი მატარებლების შემოწმების შესახებ და მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მედუქნეებს, აწვდის რჩევებს დაავადების თავიდან ასაცილებლად.

აქვე დაბეჭდილია გიორგი ბადრიძის ვრცელი სტატია სათაურით – „ხოლველა“ (შესამჩნევია, რომ იმდროინდელ პრესა-

ში ხშირად მიმართავენ „ქოლერის“ დიალექტურ ფორმებს: ხოლერა, ხორველა, მეტიც, სამედიცინო-პოპულარული ხასიათის სტატიის სათაურადაც კი დიალექტური ფორმაა გამოყენებული), რომელშიც აღწერილია დაავადების გაჩენის, ასევე, ავადმყოფობის გავრცელების ხელშემწყობი პირობების, მისი სიმპტომების, მასთან ბრძოლის გზებისა და წამლის შესახებ, მოცემულია რეკომენდაციები საკვებთან დაკავშირებითაც.

ამავე ნომერში დაბეჭდილია, ასევე, ცნობა ხუნაგის – დიფტერიის – შემთხვევისა და ერთი გარდაცვლილი ბავშვის შესახებ სოფელ გურჯაანში.

ზემო აღნიშნული მაშინდელ საქართველოში არსებულ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

ეს რეალობა, ბუნებრივია, აირეკლა მხატვრულ ლიტერატურაშიც. პრესის ფურცლებიდან მოსახლეობისათვის მიცემული რჩევებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, მძიმე სოციალური ვითარების, მოსახლეობის ფართო ფენების დაბალი განვითარების გამოც და ზოგადადაც, ეპიდემია არცთუ იშვიათად ღვთის რისხვად იყო აღქმული და, შესაბამისად, ღვთის ნებად ჩანდა გადარჩენა-არგადარჩენაც. მართალია, ამ ხასიათის მასალა დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ იმ თხზულებებმა, რომლებიც ქოლერის მიერ შექმნილ ვითარებას ასახავს, კარგად შემოინახა ჩვეულებრივი ადამიანის ბრძოლა მისთვის აუხსნელ და ძალიან საშიშ მოვლენასთან.

შიო არაგვისპირელის „მამას მიწა მივაყალეთ!..“ სავარაუდოდ 1892 წელს უნდა იყოს დაწერილი. ავტორი სათაურის ქვემოთ ურთავს შენიშვნას – სურათი. ამით ყურადღებას ამახვილებს, რომ ტექსტი არაა ვრცელი, მრავალთემიანი თხზულება, რომელშიც დასრულებული ხასიათებია მოცემული, არამედ ფრაგმენტული ამბავია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ნაწარმოებში მოთხრობილი მძიმე ისტორია მოკლებულია განზოგადების შესაძლებლობას. თხზულებაში რამდენჯერმე აქცენტირებულია სიტუაციის ჩვეულებრივობა. სწორედ ეს ჩვეულებრივობა, რომელზეც მინიშნება, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული მხატვრული დატვირთვის არმქონე ფრაზებით კეთდება, სინამდვილეში ასახავს სოციალისტური უმძიმეს ვითარებას საყოველთაო კრიზისის – ეპიდემიის დროს.

სოფელში შექმნილ ერთგვარ ჰუმანურ კატასტროფაზე მიგვანიშნებს ნოველის პირველი წინადადებები: „გუშინ თითონ უშველა ორ მესაფლავეს თავის ქმრის გამოტანა და ურემზე დადება. ისე, უკუბოდ, უმღვდლოდ, უხარჯოდ და შენდობის უთქმელად, ლეიბიანად გამოტილი შეუდეს ურემზე სოსიკა და შეზარხოშებულმა მესაფლავებმა დიღინით შეატარეს სოფელი და სამარის კარამდის მიიტანეს...“ (არაგვისპირელი 1947: 91), – აქ აღწერილი შემზარავი ვითარება საყოველთაო შიშსა და უბედურებას გამოხატავს. ის ფაქტი, რომ მესაფლავეები „შეზარხოშებულებიც“ არიან და თან „დიღინებენ“ საკმაოდ დრამატული, დამთრგუნველი მდგომარეობის გახშირებასა და გაუბრალოებას უსვამს ხაზს.

სოფლის ეპიდემიასთან ბრძოლა ბევრი რამით ჰგავს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს, რომელშიც ყველა დამოუკიდებლად ცდილობს სიცოცხლის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, გადარჩენის გზად გაქცევა და განმარტობაა მიჩნეული. „მომეტებული ნაწილი – კი სოფლელებისა დიდი ხანია თავ-ზარ-დაცემული გავარდა და ტყესა და მინდორს მოხვდა“ (არაგვისპირელი 1947: 91). როგორც ჩანს, პანდემიების დროს საცხოვრებელი ადგილიდან გახიზვნა საკმაოდ გავრცელებული იყო და მას XIX საუკუნის ბოლოსაც აქტიურად მიმართავდნენ.

სოფელში არსებულ უმძიმეს ვითარებას კარგად აჩვენებს ოთხი წლის გოგოსთან ერთად მარტოდ დარჩენილი მართიკო, რომლის მეუღლესაც ხოლერა შეეყარა, „იმისმა მაზღმაც, როცა ქმარი ავად გაუხდა, თავი დაანება და თავისი ცოლშვილი მინდორში გახიზნა“ (არაგვისპირელი 1947: 91). ასეთი ნაბიჯი – მომაკვდავი ძმის ოჯახის მიტოვება – არა იმდენად თანაგრძნობის ნაკლებობისა და გულქვაობის მაჩვენებელია, რამდენადაც ზოგადი უმეცრების, რის გამოც განსაკუთრებით მძიმე ყოფაში ვარდებიან ისედაც უსუსურ მდგომარეობაში მყოფი ქალები და პატარა ბავშვები.

ნოველაში ეპიდემიის გამო შექმნილ ჰუმანურ კრიზისს, ემოციურ გადაწყვას, გამოხატავს მესაფლავეების მხატვრული სახეები. მათი გაუხეშებული ხასიათი განსაზღვრულია, ერთი მხრივ, გახშირების გამო სიკვდილის გაუბრალოებით, მეორე მხრივ კი, შესაძლებლობის ზღვრამდე მისული შრომით. მათთვის მნიშვნელო-

ბა აღარ აქვს როგორაა დასაფლავებული მათივე თანასოფლელი, აღარც ჭირისუფლის მდგომარეობა აინტერესებთ. „–დავიღალენით, შე დალოცვილი შვილო, ასე გონია ალა-ლაობა იყოს! ჩვენც ადამიანისშვილები ვართ. დღეს ეს მესამე საფლავი გაგვითხრია და მესამე მიცვალებული გაგვიტანია...“ (არაგვისპირელი 1947: 92), – ეუბნება ერთ-ერთი მესაფლავე ისედაც სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფ ქალს. მათ მიერ ნაკარნახევი გამოსავალიც შემზარავია თავისი გულგრილობით, რაც ვითარების სიმძიმესა და არაჰუმანურობას ამჟღავნებს და ამბავრებს კიდევ. „...წადი და ახლა შენ მოუარე შენ მიცვალებულს“ (არაგვისპირელი 1947: 92), – ასე მიმართეს ახალგაზრდა ჭირისუფალს, ქალს, რომელმაც ისედაც მარტომ დაიტირა თავისი ქმარი, ახლა კი ისევ მარტო უნდა მიხედოს ნახევრად მიწამიყრილი ქმრის საფლავს.

შექმნილ ვითარებაში თანაგრძნობას, უფრო მეტად პასუხისმგებლობას, აჩვენებს ნოველის ერთადერთი პერსონაჟი ქალი. ახალგაზრდა ქმარი ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ცოლს და, როგორც მწერალი ამბობს, „თავგანწირულობით უვლიდა და მორიდება თავში არ მოსვლია“ (არაგვისპირელი 1947: 91), – მაგრამ ვერც ქმარი გადაარჩინა და თავადაც დაავადდა. მწერალი აღწერს ტანჯვას ქოლერისაგან დაავადებული ქალისას, რომელსაც ამჯერად დედის თავგანწირვა აძლებინებს. უკანასკნელ ძალებს იკრებს შვილის დასაცავად, მოურჩენელი სენის შეყრისაგან მის გადასარჩენად. ამ შემთხვევაში უკვე წინა პლანზე დედაშვილობის ასპექტები წამოიწევეს. დედისათვის სატანჯველად ქცეულა იმის განცდა, რომ, მისი სიკვდილის შემთხვევაში, უდედმამო გოგონას აღარავინ ეყოლება, ვინც გაზრდის და უპატრონებს. ეს ვითარებაც ეპიდემიის ერთ-ერთი შემზარავი და ტრაგიკული მხარეა.

თხზულების ფინალში ჩნდება მაზლი, მინდორში ჭორად გაგებული ამბის დასაზუსტებლად მოსული. ეს დეტალიც ასეთი განსაცდელის ჟამს ადამიანის მარტოობას უსვამს ხაზს, მაგრამ, ამის მიუხედავად, პატარა გოგონას ბიძის გამოჩენასთან დაკავშირებული სიხარული, ოპტიმიზმს აჩენს. სწორედ ბიძის რიტორიკული კითხვის პასუხია ბავშვის გაუმართავი ენით ნათქვამი ფრაზა – „მამას მიწა მივაყალეთ! (არაგვისპირელი 1947: 93), რომელიც

არაგვისპირელს ნაწარმოების სათაურად აქვს შერჩეული, რითაც წინა პლანზე ბავშვის გაუცნობიერებელი ემოციაა წამოწეული. ბავშვთა დაუცველობისა და მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ამ გზით ჩვენება, ასევე, მწერლის მიერ ეპიდემიის ოსტატურად დაჭერილი ერთ-ერთი წახნაგია.

თხზულების მიმე განწყობილებას რამდენადმე ამსუბუქებს ბიძა, რომელიც, სავარაუდოდ, დედის გარდაცვალების შემთხვევაში გოგონას პატრონი გახდება, ქალის სიკვდილიც ღიად რჩება. ამ დეტალებს თხზულების საერთო მიმე განწყობილებაში ერთგვარი შემამსუბუქებელი შტრიხები შეაქვს, თუმცა საერთო დრამატულ სურათს, რა თქმა უნდა, ვერ ცვლის.

ნოველაში მოქმედება ერთ დღეს ხდება, თუმცა ნოველის ქრონოტოპი ორ დღეს მოიცავს, წინა დღე ქალის მოგონებაში, განცდაში აღდგება. ავტორი ასეთ მოკლე დროსა და ამბავში რეალურად სოფელში მძვინვარე ეპიდემიის შედეგად შექმნილ მომაკვდინებელ ვითარებას საკმაოდ სრულყოფილად აღწერს, აქ ერთადაა ბუნებრივად არსებული სიკვდილის შიში და ამისაგან გამოწვეული სტიგმა, უმძიმესი განსაცდელის წინაშე მარტოდ დარჩენილი, მიტოვებული ადამიანები, სასოწარკვეთილება, რომლითაც მთლიანადაა მოცული გარემო, გამოკვეთილია ფსიქოლოგიური ნიუანსები.

არაგვისპირელის ნოველაში „ვცხოვრობთ!“ (1898) უკვე გავლილი ეპიდემია სახალისო ამბად ინტერპრეტირდა. ამით, ამ ნაწარმოების ქრონოტოპიც დროის ორ მონაკვეთად გაიყო – ეპიდემიის და მის შემდგომ პერიოდებად. ტექსტის მიხედვით, სოფლის ნაცვალი, საკუთარი მეტსახელის, „ხორველის ანგელოზის“, შერქმევის ისტორიას უამბობს თანამეინახე სტუმრებს და ჰყვება, როგორ შეექცეოდა შიშის გამო ტყეში გახიზნული თანასოფლელების მიერ დატოვებულ სურსათ-სანოვაგეს და როგორ მოახერხა ისე, რომ უკან დაბრუნებულებს პასუხი ვერ მოეთხოვათ ამისათვის. ნოველის ეს იუმორისტულ-ირონიული რაკურსი სინამდვილეში ხერხია, რომ ადამიანის დაცემას გაუსვას ხაზი მწერალმა. „დაღალული გონება მკაფიოდ აღარ ასურათებდა მოქმედ პირებს. თან-და-თან ფერი, პიროვნება ეკარგებოდათ“ (არაგვისპირელი 1947: 348), – ამბობს ავტორი. ნოველის მსუბუქი განწყობი-

ლება ფინალში სატირად გარდაიქმნება. მწერალი აზოგადებს ამ ქცევას: თუ ერთ შემთხვევაში, ხოლერა ამ ფორმით ავლენს ადამიანთა უსულგულობას, სხვა დროს განსხვავებული, მაგრამ არსით მსგავსი – „მაგვარსავე ამბით“ გამოჩნდება. ამით აქცენტი ადამიანის ნაკლოვან ბუნებაზე კეთდება, რაც მთლიანად თანხვედება არაგვისპირელის სხვა თხზულებებში გამოვლენილ მსოფლმხედველობრივ სკეპსს.

მხატვრული ლიტერატურა საყოველთაო განსაცდელის დროს მხოლოდ მძიმე რეალობის ამსახველ სურათებს არ ქმნის, არ ინახავს მხოლოდ დრამატულ მოვლენებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყოფის უმთავრესი მახასიათებელი ხდება კრიზისულ პერიოდებში. როგორც ცხოვრებაში, უბედურებასთან ერთად ყოველთვის თანაარსებობს კეთილი, ასეთ დროსაც ბედნიერების დღეებს ხალისი შეაქვს ნაცრისფერ ყოველდღიურობაში, იმედს უსახავს დანარჩენებს და გასაჭირის გადატანის ენერგიას აძლევს ადამიანებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას, ასევე, 1892 წელს შექმნილი მოთხრობა – „ხოლერამ მიშველა“.

მოთხრობას ფონად ხოლერას ეპიდემიის გამო შექმნილი ვითარება გასდევს, უმწეოდ დარჩენილი სოფელი შეშინებულია და ტყეში გახიზვნით ცდილობს გასაჭირს დააღწიოს თავი, ღვთის იმედად დარჩენილები საშველად მას მიმართავენ. „ღმერთო დალოცვილო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულ კაცს, დაიხსენი ყველა ჭირიდან, ბოროტებიდან, ღმერთო, გადმოგვხედე ერთი მალლიდან, შენი სახელის ჭირიმე, ერთი შენებურად უბძანე ამ ოხერ ხორველას, მოგვწყდე ს თავიდან!“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 264), – ეპიდემიის დასრულებას შესთხოვს უფალს მედუქნე გასპარა.

აღსანიშნავია, რომ მწერალი ერთად შეყრილი, ტყეში გახიზნული სოფლის ჟრამულზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ავტორი აქვე ახსენებს სასაფლაოს უმოძრაობასა და მდუმარებას, რომელთანაც ასოცირდება მოსახლეობისაგან დაცარიელებული და მიტოვებული სოფელი. „მის მნახავს შამეცოდა ჩემი თავი, გული ამომიჯდა; თვალზე ცრემლები მომადგა: ეს რა უბედურება უნდა იყოს მეთქი, რომ თავის ნებით თავის სახლ-კარს კაცი ღვთის ანაბრობაზე თავს ანებებდესო...“, – ამბობს ბერუა, ამბის მოთხრობელი (ვაჟა-ფშაველა 1964: 208).



მოთხრობას საერთო ფონად გასდევს აღსასრულის მოახლოებით გამოწვეული განწყობა, მისი ბუნებრივი შიში. ნაწარმოებში სიკვდილის მოახლოებით არაერთი კეთილი ქმედება აიხსნება, მაგალითად, მედუქნე გასპარის „გაპურადება“, როგორც აღნიშნავს ვაჟა.

ბუნებრივია, სიკვდილის მოახლოება ტყეში გახიზნულ სოფელს აშინებს, აფიქრებს, პანიკაშიც აგდებს, რაც მსუბუქი იუმორისტული პასაჟითაა გადმოცემული. აღსანიშნავია, რომ ერთად შეყრილი გლეხები საყოველთაო ჟრიამულებას ეძლევიან, მხიარულ ვახშამს მართავენ. რაც სხვა არაფერია, თუ არა აღსასრულის ჟამს თავდავიწყების ძიება.

დიდი განსაცდელი გაბედულებას მატებს ბერუაზე შეყვარებულ სოფოს, რომელიც სწორედ ამ ვითარების გამო მამის ნების წინააღმდეგ მიდის. შეყვარებული წყვილი დაქორწინდება და დცლილ სოფელს შეაფარებს თავს. „ხოლერა რომ არ მოსულიყო, ჩვენ ხომ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გაგბედავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოებამ კი გაგვაბედინა. სოფლელების საარაკო სალაპარაკო დღეს მე და სოფო ვართ; დაავიწყდათ ხოლერა, დღეს ჩვენა ვართ ხოლერა“, – წერს ვაჟა-ფშაველა (ვაჟა-ფშაველა 1964: 213). ბოლო ფრაზაში მეტაფორული შინაარსი აქვს ლექსემა ქოლერას, ოღონდ ამ შემთხვევაში მის გააზრებაში მსუბუქი ირონიანარევი სასიყვარულო განცდა და მიუღებელი ქორწინება მოიაზრება.

აღსანიშნავია, რომ მწერალმა ამ პრობლემას გაცილებით ღრმა მეტაფორული გააზრება მოგვცა წერილში – „ფიქრები ხორველის გამო“, მაგრამ ამჯერად კვლევის საგანი მხატვრულ ლიტერატურაა.

აშკარაა, რომ ვაჟა-ფშაველამ ამ პატარა მოთხრობაში ჟამიანობის დროს მოლხენის მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი კარგად ნაცნობი მოტივი გამოიყენა და ოპტიმიზმით აღსავსე ნაწარმოები შექმნა.

თითქმის ერთსა და იმავე დრო შექმნილი ტექსტები, ავტორთა რადიკალურად განსხვავებულ ხელწერასა და მსოფლხედვასთან ერთად, მკაფიოდ ავლენს მხატვრული ლიტერატურის ბუნებას – მრავალი რაკურსით აჩვენოს ესა თუ ის ხდომილება ისე, როგორც

თავად ცხოვრებაა მრავალფეროვანი, ბედნიერებითა და დრამატიზმით ერთნაირად მოცული.

კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელსაც გვინდა შევეხოთ არის დავით კლიდიაშვილის „მიქელა“, რომელიც პირდაპირ არ ასახავს ეპიდემიის გამო შექმნილ ტრაგიკულ რეალობას, თუმცა მასში უკურნებელი სენი, სახადი ხდება განვითარებული მოვლენების მთავარი ფაქტორი. მოთხრობა გლეხკაცის მძიმე ყოფის შემზარაობასა და მათ გამომწვევ მიზეზებს მკაფიოდ აჩვენებს კლდიაშვილისათვის დამახასიათებელი ოსტატობით. გადარჩენის ვნებას სოციალურად დაბეჭავებულ, გაუნათლებელ საზოგადოებაში შეპყრობილი ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე მიჰყავს ერთ დროს უწყინარი გლეხი, რომლის ცდა, შეცვალოს ვითარება, კიდევ უფრო მძიმე შედეგებს იწვევს.

შიში, რომელიც მთლიანად წარმართავს მთავარი გმირის მოქმედებას დიდი უბედურებითაა გამოწვეული. „უბედურ მოხუცებულობას შეესწრო მიქელა გიორგაძე. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მათა“ (კლდიაშვილი 2007: 317), – ასე იწყებს დავით კლდიაშვილი თავის თხზულებას. არც დასაწყისში და არც შემდგომ არსად აკონკრეტებს მწერალი, რამ გამოიწვია ასეთი თავზარდამცემი ტრაგედია. აღნიშნავს, რომ კაცია უბედურება მოთმინებით მიიღო, როგორც ღვთის ნება, გადარჩენილი ორი შვილიშვილი კი მორჩილების გამო ღვთისაგან ნაბომებ საჩუქრად მიიჩნია.

მიქელას ასეთი სულიერი მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა, როდესაც მისი 20 წლის შვილიშვილი სპიდონა მოულოდნელად ავად გახდა, საიქიოდან ერთი წლით გამოაბრუნეს და მოხუცის ერთადერთ იმედად მეორე შვილიშვილი – 10 წლის ნესტორა – დარჩა. „ეს მოხუცებული ახლა სრულიად გამოიცვალა, სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქო გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა – თავისი გრძნობითა და წადილებით“ (კლდიაშვილი 2007: 318). როგორც ირკვევა, მიქელას გრძნობა და სურვილი მთლიანად ნესტორას გადარჩენისაკენაა მიმართული. „ამოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა, შიშმა, რომ ამდენ

მიცვალებულთ სულის მოსამსახურედ აღარავინ დარჩეს ოჯახში“ (კლდიაშვილი 2007: 318) მთლიანად დაატყვევა მოხუცის გონება და დაუკარგა საღად აზროვნების უნარი.

სოციუმი მეზობლის ოჯახში მომხდარ ამბავს ისე ხსნის და ებრძვის, როგორც შეუძლია, ცრურწმენითა და მასზე აღმოცენებული ქცევის წესებით.

თავად ოჯახის გადარჩენილი წევრებისთვისაც იგივეა ქცევის მოდუსი. მიქელას რძალს ეშინია ნათესავებში გადამალული შვილიშვილის სანახავად წასულმა მამამთილმა რამე არ გაიყოლოს. „–ტანისამოსი დაგებერტყათ, ბატონო!.. არაფერი გაგყვით! – მიაძახა ქალმა“ (კლდიაშვილი 2007: 320). მძახლის სახლთან მისული მოხუციც ზედმიწევნით ასრულებს რძლის დანაბარებს. „შეჩერდა, გაიხადა ჩოხა... მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალამნები, გაბერტყა ესენი, ჩაიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შედგა ფეხი მოყვრის ეზოში“, – ამბობს მწერალი (კლდიაშვილი 2007: 321).

მოთხრობაში სახელი ვერ ერქმევა მიქელას თავს დატრიალებულ უბედურებას, მაგრამ მოქმედ გმირები ეძებენ გამოსავალს იმაზე დაყრდნობით, რაც არსებული მთარული ამბებიდან ხდება მათთვის ცნობილი. მძახალი – გაბრიელი – მიქელას ურჩევს სახლი გადაიტანოს ან გაწმინდოს. „სახლის გაწმინდა გაგანთავისუფლებს... შენს ადგილზე სახლს გადავდგამდი, თუ არა, გავწმინდდი მაინც... დავარღვევდი და ისე გავწმინდდი! (კლდიაშვილი 2007: 323). ამ გზას, როგორც გადარჩენის გარანტიას, კიდევ უფრო ამყარებს მოთხრობაში ნახსენები თედორეს შემთხვევა. მასაც მიქელასავით უკვდებოდნენ ოჯახის წევრები, მაგრამ, რაც „მოინაცვლა სამოსახლო, გაწმინდა, გაასუფთავა სახლი“ (კლდიაშვილი 2007: 323), მას შემდგომ ყველა კარგად ჰყავს.

სახლის გაწმინდა არ არის მარტივი ოჯახისათვის, რომლის მდგომარეობა შოკში აგდებს ირგვლივ მყოფ ადამიანებს, რომლებიც, თავის მხრივ, განზე გადგომით იცავენ თავს. „მეზობლები ახლაც არ გვეკარებიან“ (კლდიაშვილი 2007: 324),– ამბობს მიქელას რძალი. მარტო დარჩენილი ოჯახი ჟამგამოვლილი ადამიანის იმედად რჩება. მოთხრობის მიხედვით, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია „თავის გამეტება“. მწერალი ჟამისაგან გადარჩენილს ორი სიტყვით ასე ახასიათებს: „რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა

ჟამს გამოვლილი ალექსი, სახენაყვავილევი, ცალთვალწამხდარი კაცი“ (კლდიაშვილი 2007: 325). იდიომური ფრაზა „თავის გამეტება“ აუხსნელ სენტან მარტოდ დარჩენილი ადამიანების დამოკიდებულებას აჩვენებს თანაგრძნობით გამსჭვალული სოფლელეების მიმართ.

შემაშფოთებელია, რომ სახლის გაწმენდის (რაც გულისხმობს სახლის დაშლას, მორების სათითაოდ დაფხეკასა და დადუღვრას) შემდეგ მოხუცი გაურბის, შორდება შვილიშვილს, როგორც მძიმე გადამდები სენის მქონეს. უაღრესად მძიმეა სიკვდილის პირას მყოფი ბიჭის სულიერი მდგომარეობა, ის ზედმიწევნით ზუსტად გრძნობს ბაბუის გაუცხოებას. „თავდაპირველში ძლიერ ეოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა – თითქო იგი ჭირიანი ყოფილიყო, მაგრამ მერე ამასაც მოურიგდა. იგი მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა, მისგან რამე არ გაჰყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა“ (კლდიაშვილი 2007: 328). მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი ცდილობს გამართლება მოუძებნოს მის მიმართ გამოჩენილ სასტიკეს, ასეთი უგულობა, ბაბუას უკარგავს ადამიანურ სახეს. ამასთან ერთად, კარგად ჩანს აუხსნელი და სასიკვდილო მოვლენის პირისპირ ცრურწმენის იმედად დარჩენილთა არამხოლოდ არსებობისთვის თავგანწირული ზრმოლა, არამედ ადამიანის არსის რღვევაც.

მიქელა ვერ აცნობიერებს, როგორ იქცა საკუთარი შვილიშვილის მკვლელად. მეტიც, ბიჭის დატანჯვის გამო მღვდლის მუქარაზე თავსაც იმართლებს, რომ იმ ერთადერთ შვილიშვილს, ამოწყვეტისაგან რომ უნდა ეხსნა ოჯახი, ვერ შეიყვანდა გაუწმენდავ სახლში, „არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო“ (კლდიაშვილი 2007: 332), – ეუბნება მღვდელს ბაბუა, რომლის პასუხი, რა თქმა უნდა, დეჰუმანიზებული ადამიანის სიტყვებია, მაგრამ სხვაგვარი გამოსავალი მან ვერ იპოვა, ეს არ ყოფილა მისი წინასწარგანზრახული და ნაფიქრი გადაწყვეტილება, ამიტომ ვერ გრძნობს დანაშაულს, მოვლენის დრამატულობას. მისი განწყობის, ცნობიერების წარმმართველი შვილიშვილის გადარჩენის გამო გაჩენილი დადებითი იმპულსია. კიდევ უფრო მკაფიოდ ეს ჩანს ნაწარმოების ფინალში. მიქელა მზადაა საერთოდაც არ მოესწროს ბიჭის შინ დაბრუნებას, მზადაა მისი ჭირის სანაცვლო

იყოს, ოღონდ სულის მაცხოვნებელი ჰყავდეს (კლდიაშვილი 2007: 333). სწორედ ამგვარი ფინალი მიქელას დრამას გაუნათლებლობის სიბნელით მოცული ადამიანის ტრაგედიად აქცევს და არა სასტიკ დანაშაულად, არც მიქელაა ცივისსხლიანი დამნაშავე. მოხუცის შეუპოვრობა მოდემის გადარჩენის ჟინითაა ნაკარნახევი და არა მკვლელის ინსტინქტით. „სადამდე შეიძლება იყოს ცრუმორწმუნეობით დაბნელებული ადამიანის გონება. რა საშინელი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მიამიტობამ და უმეცრებამ. ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლეელი გახდა. და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ – ჯიშის, მოდემის გადარჩენის სახელით“; – წერს აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე 2004: 406).

ცნობილია, რომ კლდიაშვილის „საიქიოს ნამყოფ“ გმირებს ჰყავდა პროტოტიპი მწერლის მეზობელი გლეხი – ლევან სირბილაძე, მაგრამ „მიქელაში“ გადმოცემულ ამბავში შთამომავლობის გაქრობის შიშით შეპყრობილი ადამიანის ხასიათის ის შტრიხებია ასახული, რომელმაც მხოლოდ ძალზე იშვიათად, დიდი სულიერი კატაკლიზმების დროს შეიძლება იჩინოს თავი, რაც ამ შემთხვევაში ყოფით დონეზე საყოფაცხოვრებო შიშის (სიკვდილის, დაავადების და სხვ. – ფროიდი) ფორმით გამოვლინდა ღარიბ, გაუნათლებელ, ცრურწმენებით მოცულ საზოგადოებაში, რომელიც ამგვარად ირეაგირებს ყოველთვის, როდესაც ის გონებრივად და სულიერად ვერ გაუმკლავდება უცნობ მოვლენას, ავადმყოფობას, ეპიდემიას ან მის მსგავს სენს, რაც არაერთი მინიშნებით ამ ტექსტშიც აისახება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილმა ამ თხზულებებმა თითოეული ავტორისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ხელწერით მხატვრულად ასახა პანდემიის დროს მაშინდელ საქართველოში შექმნილი ვითარება, ოსტატურად აჩვენა ეპიდემიით გამოწვეული სოციალური სურათი, მისი მარკერები, რომლებიც ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად მსგავსია. ესაა: მსხვერპლი, ინტენსიური უარყოფითი ემოცია, ადამიანთა შეცვლილი ყოფა, უკონტაქტობა, ჩაკეტილობა, სიკვდილის შიში, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების სულიერი სიმტკიცე, შინაგანი ძალა და ბრძოლა სიცოცხლის გასაგრძელებლად.

## დამოწმებანი:

**არაგვისპირელი 1947:** არაგვისპირელი შ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1947.

**ბაქრაძე 2004:** ბაქრაძე ა. თხზულებანი. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, „ლომისი“, 2004.

**ვაჟა-ფშაველა 1964:** ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. ტ. V. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

**კლდიაშვილი 2007:** დავით კლდიაშვილი. ქართული მწერლობა. ტ. 30. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 2007.

## Tatiana Megrelishvili

*Georgia, Tbilisi*

*Georgian Technical University*

### “...a Thinking Person is Restless and Worried about the Future”: Premonitions in Three Boldin Poems by A. S. Pushkin

#### Summary

Three poems by A. S. Pushkin, created during the Boldino autumn, are marked by a single mood: concern for the future, a premonition of interference in the fate of the poet by destructive evil forces. These are the well-known works “Demons” (September 7, 1830), “Elegy” (“The Faded Fun of Mad Years...”) (September 8, 1830) and “Poems composed at Night during Insomnia” (October 1830).

The paper, having studied and analyzed the above texts and the letters from Boldino, highlights the sources and artistic dominants in which the poet finds his expression of the premonition of future, as well as philosophical deliberations inscribed in the context of his poetry and in the creative quest of his contemporaries.

**Key word:** Boldino, A. S. Pushkin, artistic dominants, philosophical deliberations, the context of his poetry.